ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალ

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: კარლო შერაზადიშვილი

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

1. შესავალი 4

2. საქართველოს X მოწვევის პარლამენტის არჩევა და ოპოზიციის ბოიკოტი 5

3. საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტის მანკიერი პრაქტიკა... 8

4. ნიკანორ მელიას საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა 9

4.1. ბანკი „ქართუს“ საქმე 10

4.2. ნიკანორ მელიას საქმე - 20–21 ივნისის მოვლენები..... 12

4.3. სასამართლოს განჩინებების შეფასება 14

4.4. სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები 16

5. ბადრი ჯაფარიძის საპარლამენტო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა..... 17

5.1. ე.წ. ფულის გათეთრების საქმე..... 17

5.2 სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები 18

6. ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე 20

6.1 სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები 20

7. საპარლამენტო ოპოზიციის დასუსტებისკენ მიმართული ნაბიჯები... 21

დასკვნა..... 23

1. შესავალი

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა საპარლამენტო მმართველობის მოდელად გარდაქმნა. ახალმა საკონსტიტუციო მოწყობამ, ერთი მხრივ, გააფართოვა პარლამენტის ძალაუფლება, მეორე მხრივ კი, შეზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, რის შედეგად პარლამენტის ინსტიტუციონალური როლი, ხოლო პარლამენტის წევრის ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) პროექტის ფარგლებში – „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი", ყურადღებით აკვირდება საქართველოს პარლამენტის წევრთა წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებს. მონიტორინგის პერიოდში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა რამდენიმე ანგარიში და ანალიტიკური დოკუმენტი[1], სადაც აღწერილია სხვადასხვა სამართლებრივი, თუ პროცესუალური დარღვევები. შეგროვებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერის და პარლამენტის წევრის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა, კვლავ აქტუალურს ხდის საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და სანდოობის საკითხებს. რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში პოლიტიკური ლიდერების მიცემა ბადებს არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ, როგორც ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში, ისე საერთაშორისო პარტნიორებში.

სავარაუდო პოლიტიკური მოტივი, პოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად, განსაკუთრებით მაშინ იკვეთება, როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნა პარლამენტის წევრთა მიმართ არის დაწყებული, რომელთაც საპარლამენტო მანდატი

---

[1] **შენიშვნა:** 2020-2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა 12 ანალიტიკური დოკუმენტი, 2 შუალედური და 2 შემაჯამებელი ანგარიში, მათ შორისაა: 1) ,,გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება": https://bit.ly/33SqhZx . 2) ,,2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი"; https://bit.ly/2XUIHFn . 3) ,,ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება": https://bit.ly/31NEpka. 4) ,,გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი": https://bit.ly/2CkSOfd. 5) ,,ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება": https://bit.ly/33NghAb. 6) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში: https://bit.ly/2JZ0eZh . 7) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში: https://bit.ly/2X54qNc; 8. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2021. http://www.hrc.ge/290/geo/; 9) 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, 2021. http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf; 10) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), 2021. https://bit.ly/3FAP59h . 11) პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე – მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების ანალიზი. 2022წ. http://www.hrc.ge/434/geo/. 12) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი – შემაჯამებელი ანგარიში (2022წ. აპრილი–ივნისი) http://www.hrc.ge/395/geo/

საშუალებას აძლევთ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე და კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. ამ დოკუმენტის მიზანია, მსგავს სისხლის სამართლის საქმეებზე, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, შეაფასოს საპარლამენტო და სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებების სამართლებრივი და პროცესუალური მხარე.

2. საქართველოს X მოწვევის პარლამენტის არჩევა და ოპოზიციის ბოიკოტი

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს X მოწვევის პარლამენტი ნაკლებად ასახავს ძალთა თავდაპირველ გადანაწილებას, რომელიც, ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველმა 2020 წელს განსაზღვრა[2]. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი 150 წევრისაგან შედგება, მაგრამ ამჟამად დეპუტატების რიცხვი 141-ს არ აღემატება[3]. ამის მიზეზი არის ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ მანდატის საკუთარი ნებით დატოვება ან პარლამენტის მიერ რამდენიმე დეპუტატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 130[4]-ე მუხლის შესაბამისად, *„თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, მაშინ ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება“*. ვინაიდან 2020 წლის არჩევნების შედეგებისადმი გამოცხადებული პროტესტის გამო, ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელომ“ საარჩევნო სია გაანულა[5], ამ პარტიების გამოკლებული მანდატები გაუქმებული დარჩა და აღარ შეივსო. შესაბამისად, პარლამენტის მიერ რამდენიმე დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, პარლამენტში არსებული ვაკანტური ადგილები ვერავინ დაიკავა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი შედეგები საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 3 დეკემბერს გამოაქვეყნა. საპარლამენტო მანდატები პოლიტიკურ პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: „ქართული

---

[2] იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) 2020წ. არჩევნების შედეგების შემაჯამებელი განცხადება: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/4123458

[3] ინფორმაცია სრულად: https://parliament.ge/parliament-members

[4] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 130–ე მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168

[5] იხ. ოპოზიციური პარტიების 2020 წ. 11 დეკემბრის განცხადება: https://www.radiotavisupleba.ge/a/30995344.html

ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 90 მანდატი, საიდანაც 60 - პროპორციული სიით, ხოლო 30 მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებით მიიღო. ოპოზიციურმა პარტიებმა კი, საერთო ჯამში, 60 სადეპუტატო მანდატი მოიპოვეს.

არჩევნების პირველ ტურში 30-დან 17 მაჟორიტარულ ოლქში ამომრჩეველთა ხმების 50%–ზე მეტი ვერც ერთმა კანდიდატმა მოაგროვა და გამარჯვებულის გამოსავლენად ამ ოლქებში კენჭისყრის მეორე ტური დაინიშნა, რომელმაც ოპოზიციური პარტიების პროტესტისა და ბოიკოტის ფონზე ჩაიარა[6]. ბოიკოტი ხმების დათვლის პროცესში გამოვლენილ დარღვევებს[7], ამომრჩეველთა დაშინება/მოსყიდვას და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას მოჰყვა. მიუხედავად ოპოზიციური პარტიების ბოიკოტისა, არჩევნების მეორე ტური 2020 წლის 21 ნოემბერს ჩვიდმეტივე მაჟორიტარულ ოლქში გაიმართა. განმეორებითი კენჭისყრის შედეგების მიხედვით, მაჟორიტარულ ოლქებში „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს. მართალია, ოპოზიციური პარტიები არჩევნებში არ მონაწილეობდნენ და თავის მხარდამჭერებსაც არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ კანონმდებლობით[8], საარჩევნო ბიულეტენში ოპოზიციური კანდიდატი და მისი საარჩევნო ნომერი ფორმალურად მაინც ფიქსირდებოდა. შესაბამისად ოპოზიციის აქტიური ჩართულობის გარეშე ჩვიდმეტივე მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა მიიღეს და ვაკანტური მაჟორიტარული მანდატები დაიკავეს.

თავდაპირველად ყველა ბარიერგადალახულმა ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა[9]. ბოიკოტის ფარგლებში, 2020 წლის დეკემბერის დასაწყისში 51-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტს, კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართა. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა შეისწავლა და დაადასტურა დეპუტატების მიმართვების ნამდვილობა და მიზანშეწონილად მიიჩნია მათთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა, მაგრამ 2021 წლის 2 თებერვალს, საგაზაფხულო სესიაზე, საპარლამენტო უმრავლესობამ უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობაზე და 51-დან არც ერთი განცხადება არ დააკმაყოფილა[10].

საპარლამენტო უმრავლესობის ამ გადაწყვეტილებამ, შეიძლება ითქვას, სახიფათო დეინსტიტუციონალიზაციის პრეცედენტი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს მანდატის შეწყვეტაზე უარი ეთქვათ, მათი უმრავლესობა, ბოიკოტის

[6] ინფორმაცია სრულად. https://civil.ge/ka/archives/383564
[7] იხ. საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა შეფასება: https://www.isfed.ge/geo/blogi/2020-tslis-archevnebi-saqartveloshi-ukrainasa-da-moldovashi-sagareo-politikis-eqspertta-mosazrebebi
[8] საქართველოს საარჩევნო კოდექსი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=77
[9] ინფორმაცია სრულად: https://civil.ge/ka/archives/380168
[10] ინფორმაცია სრულად: https://www.radiotavisupleba.ge/a/31081922.html

ნიშნად, უარს აცხადებდა მე-10 მოწვევის პარლამეტში შესვლაზე[11]. შესაბამისად, თუ ბოიკოტის რეჟიმში მყოფი დეპუტატები საგაზაფხულო სესიის სხდომების ნახევარზე მეტს არ დაესწრებოდნენ, ეს ამ დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციით დადგენილი დამატებითი საფუძველი იქნებოდა. თუკი პარლამენტი ამ ორი საფუძვლის მიუხედავად უარს განაცხადებდა დეპუტატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე, მაშინ ეს მიიღებდა სახიფათო პრეცედენტის სახეს, რაც ისედაც ნდობაშემცირებული პარლამენტისთვის, გამოუსწორებელ ზიანს მოიტანდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განმარტებით, კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი წარმოადგენდა ოპოზიციის მხრიდან საპარლამენტო საქმიანობის საბოტაჟის პრევენციულ მექანიზმს და ამავდროულად, ოპოზიციას სადეპუტატო მანდატების შენარჩუნების კიდევ ერთ შანსს აძლევდა[12], მაგრამ თუ ოპოზიციონერი დეპუტატები კვლავ საბოტაჟის რეჟიმს აირჩევდნენ, მაშინ პარლამენტი მათი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს საშემოდგომო სესიაზე განიხილავდა.

ამ მოვლენების პარალელურად, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით, საქართველოში აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩების შუამავლობით, ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის დიალოგი დაიწყო[13]. მოლაპარაკებების მაგიდაზე მთავარი მედიატორის ფუნქცია ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა შეასრულა. ექვსთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2021 წლის გაზაფხულზე, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება – „მომავლის გზა საქართველოსთვის“[14], რომელიც „შარლ მიშელის შეთანხმების“ სახელით არის ცნობილი. დოკუმენტი ხუთი ძირითადი პუნქტისაგან შედგებოდა. ხელმომწერი დეპუტატები ვალდებულებას იღებდნენ, ჩართულიყვნენ საპარლამენტო საქმიანობაში. სხვა საკითხებთან ერთად, მე–4 პუნქტი დაეთმო პარლამენტში ძალთა ბალანსის გადანაწილებას - პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან უხელმძღვანელებდნენ ხუთ საპარლამენტო კომიტეტს. ასევე, ოპოზიციონერ დეპუტატებს უნდა დაეკავებინათ საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარის 1 პოზიცია იმ საპარლამენტო დელეგაციებში, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ შემდეგ საერთაშორისო ფორუმებში: ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა, ევროკავშირი–საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა. სამომავლოდ, სხვა პოზიციები უნდა განაწილებულიყო ისეთი ინკლუზიური ფორმულის გამოყენებით, როგორიცაა D'Hondt მეთოდი, რომელიც არაპროპორციულობის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობდა. შეთანხმება ორივე მხარისთვის კომპრომისული აღმოჩნდა, მის იმპლემენტაციას საპარლამენტო

[11] ინფორმაცია სრულად: https://civil.ge/ka/archives/380168
[12] ინფორმაცია სრულად: https://netgazeti.ge/news/516092/
[13] ინფორმაცია სრულად: https://civil.ge/ka/archives/382166
[14] დოკუმენტი სრულად: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf

ინსტიტუტის კიდევ უფრო გაძლიერება და პოლარიზაციის შემცირება უნდა მოყოლოდა. თუმცა, იმლემენტაციის პროცესი კვლავ დაპირისპირების ფონზე წარიმართა.

3. საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტის მანკიერი პრაქტიკა

საქართველოს კონსტიტუციისა[15] და პარლამენტის რეგლამენტის[16] თანახმად, პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, თუ იგი:

- პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში;
- სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- გარდაიცვალა;
- დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2020 წლის არჩევნების მიხედვით, პოლიტიკურმა პარტიამ „პატრიოტთა ალიანსი“ 4 სადეპუტატო მანდატი მიიღო. „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიის მიხედვით, პარლამენტში ირმა ინაშვილი, გიორგი ლომია, გოჩა თევდორაძე და ავთანდილ ენუქიძე უნდა შესულიყვნენ. 2020 წლის 21 დეკემბერს ავთანდილ ენუქიძის გარდა, სამმა დეპუტატმა, ისევე როგორც მანამდე 51-მა ოპოზიციურმა კანდიდატმა, მანდატებზე უარი განაცხადა და პარლამენტს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებმა პარლამენტს ყველაზე გვიან მიმართეს, მათი მანდატების ვადამდე შეწყვეტის საკითხს პარლამენტმა სხვებზე ადრე - 4 იანვრის სხდომაზე უყარა კენჭი და მხარი დაუჭირა. იმ ფაქტს, რომ უმრავლესობამ ნაჩქარევად მხარი დაუჭირა „პატრიოტთა ალიანსის” დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტას, ხოლო სხვა 51 ოპოზიციონერს მანდატები შეუნარჩუნა,

[15] საქართველოს კონსტიტუცია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[16] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1691403?publication=44

ორმაგი სტანდარტის და განსხვავებული მიდგომის განცდა დატოვა საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს პირადი განცხადება წარმოადგენს, კანონმდებლობით არ რეგულირდება, რა შემთხვევაში შეუძლია პარლამენტს, უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე. კონსტიტუციის ჩანაწერი, რომ დეპუტატის პირადი განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ კენჭისყრაზე განიხილება, დამზღვევ მექანიზმს წარმოადგენს იმ შემთხვევისთვის, თუ დეპუტატს განცხადება ზეწოლის შედეგად აქვს დაწერილი. თუმცა, ვინაიდან პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა შეისწავლა და დაადასტურა დეპუტატების მიმართვების ნამდვილობა, პარლამენტი ვალდებული იყო, ორივე შემთხვევაში მიეღო იდენტური გადაწყვეტილება.

4. ნიკანორ მელიას საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა

პარლამენტმა განსხვავებული მიდგომა გამოიჩინა იმ ოპოზიციონერი დეპუტატებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვის დროსაც, ვის მიმართაც მიმდინარეობდა სისხლის სამართლებრივი დევნა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს ჩამონათვალს, პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ამავდროულად ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. ეს გარემოება დავის საგანი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარის, ნიკანორ მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების ჩამორთმევის დროს, როცა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი - სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი იყო, მაგრამ კენჭისყრა პლენარულ სხდომაზე ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ყოველგვარი მსჯელობის და შესწავლის გარეშე წარიმართა. მაშინ უმრავლესობის დეპუტატები ამბობდნენ, რომ პარლამენტი ვალდებული იყო, მელიასთვის უფლებამოსილება შეეწყვიტა, რადგან ამას ადგენდა საქართველოს კონსტიტუცია და კენჭისყრა მხოლოდ მექანიკური ხასიათის იყო[17].

[17] იხ. პარლამენტის პირველი ვიცე–სპიკერის გია ვოლსკის განცხადება - https://www.interpressnews.ge/ka/article/576829-gia-volskis-ganmartebit-gadacqvetileba-romelic-parlamentma-nika-meliastvis-mandatis-chamortmevaze-unda-miigos-ara-politikuri-aramed-mekanikuri-gadacqvetilebaa/

4.1. ბანკი „ქართუს“ საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ე.წ. ბანკი „ქართუს“ საქმეზე[18] 2019 წ. 2 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით[19]. სასჯელის სახედ და ზომად მას განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე[20], ნიკანორ მელიას დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. ვინაიდან ბრალდება 2012 წლამდე ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა, სასამართლოს განაჩენით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, ნიკანორ მელიას დანიშნული დამატებითი სასჯელი - თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა შეუმცირდა ერთი მეოთხედით[21]. საბოლოოდ, მას სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით და 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის N5544 დადგენილებით კი, საქართველოს კონსტიტუციასა და პარლამენტის რეგლამენტზე დაყრდნობით, ნიკანორ მელიას ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

პარლამენტმა ნიკა მელიასათვის უფლებამოსილების შეწყვეტის არგუმენტად საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის[22] მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი მიუთითა, რომლის მიხედვითაც, „პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ“. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც არსებობდა თბილისის სააპელაციო, ან უზენაესი სასამართლოს მიერ ნიკა მელიას მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმების და გამართლების შესაძლებლობა, პარლამენტის ეს გადაწყვეტილება ნაჩქარევად და დაუსაბუთებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს პარლამენტს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არ უნდა განეხილა, როგორც კანონიერ ძალაში

[18] ინფორმაცია სრულად: https://netgazeti.ge/news/410717/
[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=243
[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43–ე მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=243
[21] საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ მე–16 მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0
[22] საქართველოს კონსტიტუციის 39–ე მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

შესული საბოლოო გადაწყვეტილება[23]. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების პირობებში, იმ შემთხვევაში, თუ ნიკა მელიას უდანაშაულოდ ცნობდა სააპელაციო ან უზენაესი სასამართლო, მას ვეღარ აღუდგებოდა დეპუტატის უფლებამოსილება. პარლამენტის ამ გადაწყვეტილებით აზრი დაეკარგა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის[24] პირველი პუნქტით დაცული უფლება სამართლიან სასამართლოზე. ეს უფლება გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას.

საბოლოოდ, 2019 წლის 23 დეკემბერს, პარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა[25]. სარჩელით მოთხოვნილ იქნა პარლამენტის იმ დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც დეპუტატს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა.

2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნიკანორ მელიას საკონსტიტუციო სარჩელზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა[26]. დოკუმენტში საუბარია, როდის შეიძლება იყოს გამამტყუნებელი განაჩენი საპარლამენტო უფლებამოსილების ჩამორთმევის საფუძველი. კანონმდებლობიდან და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის წევრისთვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ავტომატურად არ უნდა იწვევდეს მისთვის საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტას. დოკუმენტში საუბარია, რომ „ძალაში შესული განაჩენის“ ცნებას, ერთი მხრივ, ავტონომიური შინაარსი აქვს, მაგრამ არჩეული პარლამენტარის უფლებამოსილების შეწყვეტისას აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დაცვა. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სწორედ პროპორციულობის საკითხის გარკვევას ისახავდა მიზნად. კერძოდ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დეპუტატს სასჯელის სახედ პატიმრობა აქვს მისჯილი. იმ შემთხვევებში კი, როცა სასჯელის სახედ არასაპატიმრო სასჯელი ინიშნება, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა შეწყდეს.

---

[23] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (2022წ. აპრილი–ივნისი). http://www.hrc.ge/files/reports/218sasamartlo%20procesebis%20monitoringi-geo.pdf

[24] საქართველოს კონსტიტუციის 31–ე მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[25] იხ. საკონსტიტუციო სარჩელი: ნიკა მელია, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=5003

[26] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება. https://www.ombudsman.ge/geo/2sasamartlo-megobris-mosazrebatsinadadebarekomendatsiebi/sakhalkho-damtsvelma-sakonstitutsio-sasamartlos-nikanor-melias-sakmeze-sasamartlos-megobris-mosazrebit-mimarta

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) და კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან (დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში) მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო სამართლიანი სასამართლოს ნაწილში, ვინაიდან ნიკანორ მელიას უფლებამოსილება შეუწყვიტა არა სასამართლომ, არამედ საქართველოს პარლამენტმა. საკითხის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სარჩელი სასამართლოს პლენუმმა განიხილა, მაგრამ მიუხედავად რელევანტური სასარჩელო არგუმენტებისა, დარღვევა ვერ დაადგინა[27].

4.2. ნიკანორ მელიას საქმე - 20–21 ივნისის მოვლენები

ნიკანორ მელიას პარლამენტის დეპუტატის რანგში ბრალი წარდგენილი ჰქონდა კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციებს უკავშირდება. საქართველოს პროკურატურა მელიას სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულს, კერძოდ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას ედავებოდა. 2019 წლის 25 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს ნიკანორ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით და სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული აღკვეთის სახით საპატიმრო ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიმართა[28]. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრს იმუნიტეტი[29] იცავს, მაგრამ დანაშაულის ჩადენისას, ეს დაუსჯელობის გარანტიას არ წარმოადგენს. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში ან მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის, მაგრამ იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისას. გენერალური პროკურორის მტკიცებით, ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. გენერალურმა პროკურორმა მიუთითა, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, როდესაც არსებობს

[27] ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/1473, 2020 წლის 25 სექტემბერი: https://bit.ly/3M8uLxW
[28] ინფორმაცია სრულად. https://netgazeti.ge/news/518763/
[29] საქართველოს კანონი პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32458?publication=32

დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და მტკიცებულების მოპოვებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით[30], საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი წინადადება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მასში წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დამადასტურებელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი და დასაბუთებული, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რაზეც პროკურატურა მიუთითებდა, ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, არ შეესაბამებოდა ნიკანორ მელიას კონკრეტულ საქმეს. ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, იმუნიტეტის გამოყენების და მოხსნის წესები უნდა იყოს ზუსტი, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და მკაფიოდ განსაზღვრული. კომისია მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში საპარლამენტო იმუნიტეტი ფუნქციონირებს ძირითადად, უმცირესობის გარანტიის სახით. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის გარანტიები ვერ დაიცავენ პარლამენტარს მის მიერ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების თაობაზე პოტენციურად გაუთავებელი სამართლებრივი დავებისაგან, რომელიც შეიძლება ინიცირებული იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. ამგვარ სამართლებრივ დავებს, de facto, შეუძლიათ, შეზღუდონ პარლამენტარების მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება იმდენად, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სადეპუტატო მანდატის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. ამიტომ, საპარლამენტო იმუნიტეტი და პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სპეციალური წესები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრების დაცვას პოლიტიკური ოპონენტების, აღმასრულებელი ხელისუფლების და საზოგადოების სხვა წევრების სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დევნისგან. ამასთან, საპარლამენტო იმუნიტეტით დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს პარლამენტარის გამოხატვის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლება წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის კიდევ უფრო აღმატებული შინაარსის და დაცვის მქონეა, ვიდრე ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის[31].

მიუხედავად ამისა, 2019 წლის 26 ივნისს, პარლამენტმა საგანგებო სესიაზე, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე, 91 ხმით, არცერთის წინააღმდეგ, ნიკანორ

[30] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგის ანგარიში 2020 წ. http://www.hrc.ge/113/geo/

[31] იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნა, საპარლამენტო იმუნიტეტის შეზღუდვის ფარგლების შესახებ: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)011-e

მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა[32], რათა პროკურატურას მისი დაპატიმრების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მისცემოდა.

4.3. სასამართლოს განჩინებების შეფასება

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 27 ივნისს არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დეპუტატს პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის ღონისძიებად გირაო განუსაზღვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - 30 000 ლარის ოდენობით გირაოს პირობებშიც. ბრალდებულს გირაოს გადახდის ვადად განესაზღვრა 20 დღე. სასამართლოს განჩინებით, ნიკა მელიას, ასევე, დაეკისრა დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ, მას აეკრძალა: საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია; მასვე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; საბოლოოდ, გაზრდილი გირაოს ოდენობის და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად იქნებოდა უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები. სასამართლოს განმარტებით, გირაოს პირობებისა და დამატებითი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო შესაძლოა, შეცვლილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამ შემთხვევაშიც, თბილისის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტისას, იხელმძღვანელა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და განჩინებაში არ იმსჯელა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულის საქმიანობას, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია და შესაბამისად - არც უმსჯელია. ასეთი მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებისას კი, შესაძლოა, ამას სასამართლო განჩინების შედეგზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოეხდინა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. დაცვის მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამატებითი შეზღუდვების ღონისძიებების გაუქმებას ითხოვდა, ხოლო გენერალურმა პროკურატურამ, სააპელაციო საჩივრით, ნიკანორ მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ძალაში

[32] ინფორმაცია სრულად: https://civil.ge/ka/archives/397920

დარჩა. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას ნიკა მელიას გადაადგილებაზე ელექტრონული მონიტორინგის წარმოება დაავალა, სპეციალური სამაჯურის დამაგრებით[33]. 2019 წლის 10 სექტემბერს ნიკა მელიას ვიზიტი ტელეკომპანია „კავკასიაში“ და გადაცემაში მონაწილეობა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობის დარღვევად შეაფასა[34]. პროკურატურის განცხადებით, მელიას მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მონაწილეობა სასამართლოს მიერ დაწესებული ვალდებულების დარღვევაა. ბრალდებულს განემარტა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. პროკურატურამ, ასევე, განაცხადა, რომ ნიკანორ მელიას ეძლეოდა თანხმობა საქართველოს პარლამენტში გამოცხადებაზე, ხოლო მედიასთან კომუნიკაცია საცხოვრებელი სახლიდანაც სრულყოფილად იყო შესაძლებელი.

პროკურატურის ეს პოზიცია სრულად ეწინააღმდეგება პარლამენტის მანდატით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საქმიანობის უფლებამოსილების სპეციფიკას. ასეთ პირს, შესაძლოა, მუდმივად სჭირდებოდეს საზოგადოების წევრებთან და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობა, რაც სახლიდან გაუსვლელად, შეუძლებელია, ეფექტიანად შესრულდეს. ამიტომ სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში, პროკურატურის მიერ დეპუტატისთვის სახლიდან გასვლაზე უარის თქმა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული და ძალიან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისთვის, რომელთა დაუცველობა, პირველ რიგში, არღვევს თავად ამომრჩევლის ინტერესებს. ამასთან, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ეს არის ერთადერთი და აუცილებელი გზა, სასამართლოს მიერ უფლების შეზღუდვა უნდა ხდებოდეს ზედმიწევნით განჭვრეტადი, გასაგები, მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურით, რომელიც ეფუძნება ინტერესების სამართლიან ბალანსს. ამგვარად, ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლისათვის მანდატის ჩამორთმევა ან სხვა ზემოაღნიშნული ფორმებით შეზღუდვა, არა მხოლოდ ზღუდავს ამ მანდატის მატარებელი პირის უფლებას, საჯარო სამსახურში დაიკავოს თანამდებობა, არამედ იმ ამომრჩევლის ნებას, რომელმაც ეს მანდატი ამ თანამდებობის პირს გადასცა[35].

[33] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით: https://tcc.court.ge/ka/Decision/nikanori-melias-sheefarda-girao-da-daekisra-damatebiTi-valdebulebebi

[34] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება: https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturis-gancxadeba-1-1

[35] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგის ანგარიში 2020 წ.: http://www.hrc.ge/113/geo/

4.4. სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები

2021 წლის თებერვლიდან, 2022 წლის ივნისამდე საქმეზე ჩატარდა 22 სასამართლო სხდომა[36]. თითქმის ყველა სხდომაზე დაცვის მხრიდან ისმოდა პოლიტიკური განცხადებები. დაცვა ყურადღებას ამახვილებდა საქმის პოლიტიკურ მოტივებზე, საქმეში მტკიცებულებათა განზრახ განადგურებაზე, პოლიტიკოსების ჩართულობასა და ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა დაინტერესებაზე. ადვოკატებმა საზოგადოების მაღალ ინტერესზე მითითებით, რამდენჯერმე დააყენეს სასამართლო სხდომების პირდაპირი ტრანსლაციით გაშუქების შუამდგომლობა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ამასთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ მათ რჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს არ სურდა, საზოგადოებისთვის ცნობილი გამხდარიყო სხდომებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც იწვევდა ეჭვს, რომ ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს პატიმრობით შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლეს უკვე წინასწარ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება. 2021 წლის 13 აპრილს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. კერძოდ, მხარე ითხოვდა ტელემედიაში გავრცელებული ირაკლი კობახიძის ინტერვიუს დართვას. ამ ინტერვიუში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საუბრობს 2021 წლის 17 თებერვალს თანამდებობის პირებს შორის გამართულ დისკუსიაზე, ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის აღსრულებისათვის სხვადასხვა საშუალების გამოყენების თაობაზე. ადვოკატების განცხადებით, გამომდინარე იქედან, რომ ეს ინტერვიუ მოგვიანებით გავრცელდა, დაცვის მხარე ვერ უზრუნველყოფდა ამ მტკიცებულების არსებით განხილვამდე წარდგენას. სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე დაკითხული ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებდნენ ნიკანორ მელიას ბრალეულობას. სასამართლო პროცესებზე მეტ-ნაკლებად დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. თუმცა, პრობლემური იყო დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვისა და დაკმაყოფილების საკითხები, რადგან რიგ შემთხვევებში, უარის თქმის საფუძვლები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელი იყო.

[36] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები ნიკანორ მელიას სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2021; 08.04.2021; 13.04.2021; 29.04.2021; 10.05.2021; 13.05.2021; 21.05.2021; 25.05.2021; 27.05.2021; 03.06.2021; 24.04.2021; 02.06.2021 10.06.2021; 15.06.2021; 24.06.2021; 02.06.2022.

5. ბადრი ჯაფარიძის საპარლამენტო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2022 წლის 7 თებერვალს კომიტეტის სხდომაზე განიხილა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ლელოს“ დამფუძნებლის, ბადრი ჯაფარიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი[37], მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 28 იანვრის N1-946/22 წერილით, საქართველოს პარლამენტს წარედგინა განაჩენი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი ბადრი ჯაფარიძე ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრს, ბადრი ჯაფარიძეს ვადამდე უნდა შეწყვეტოდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. 2022 წლის 15 თებერვალს, პლენარულ სხდომაზე, პარლამენტმა კენჭი უყარა დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს და 77 დეპუტატის მხარდაჭერით ბადრი ჯაფარიძეს საპარლამენტო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა[38].

5.1. ე.წ. ფულის გათეთრების საქმე

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური პარტია - „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) საქართველოს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა სსკ-ის 194[39]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე განაჩენი 2022 წლის 12 იანვარს გამოაცხადა. კერძოდ,

[37] ინფორმაცია სრულად: https://netgazeti.ge/news/586325/
[38] ინფორმაცია სრულად: https://www.radiotavisupleba.ge/a/31704724.html
[39] საქართველოს სისხლის სამართლის 194–ე მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=243

სასამართლომ მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მხრიდან წარდგენილი ბრალის ნაწილში დანაშაულის ჩადენა ვერ დაადგინა, მაგრამ ფულის გათეთრების მუხლიდან ბრალი თაღლითობის მუხლზე გადააკვალიფიცირა. გამოცხადებული განაჩენით, მოსამართლე გიორგი არევაძემ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით) და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლით[40]. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხაზარაძე და ჯაფარიძე საპატიმრო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გამო.

5.2 სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი ამ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოდან აკვირდება და მონიტორინგის შედეგებს ანგარიშების[41] სახით პერიოდულად აცნობს საზოგადოებას. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ სახეზეა ფულის გათეთრების შემადგენლობა და პირველი ინსტანციის მოსამართლემ არასწორად განმარტა შესაბამისი მუხლი დავის ფაქტობრივ გარემოებებთან და წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებაში. ხოლო დაცვის მხარის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ბრალდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იყო.

- *ბრალდების პოზიცია*

2022 წლის 30 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ბრალდების მხარე დასკვნითი სიტყვით წარსდგა. დასკვნით სიტყვაში პროკურორმა აღნიშნა, რომ დანაშაულის გადაკვალიფიცირება პირველი ინსტანციის საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ არის უკანონო და დაუსაბუთებელი. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები კი არის მხოლოდ მათი მსჯელობები, რომელიც არ ეფუძნება მტკიცებულებებს. არგუმენტები, ბანკიდან აღებულ თანხებთან დაკავშირებით, არ შეესაბამება სიმართლეს და ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ბრალდებულებმა თავი აარიდონ სასჯელს. საქმეში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა მსჯავრდებულთა მიერ დანაშუალის ჩადენის ფაქტი, რომელიც შეიცავს ფულის გათეთრების ნიშნებს. პროკურორი კომპლექსურად შეეხო დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებს, თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებით. აღნიშნა, რომ კონვერტაციის და ბრალდებულთა მიერ თანხის სხვადასხვა ანგარიშებზე გადარიცხვის მიზანი ფულის

[40] ინფორმაცია სრულად: https://www.radiotavisupleba.ge/a/31650371.html

[41] სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში) 2021 წ.: http://hrc.ge/files/reports/188sasamartlos%20monitoringi-geo.pdf

გათეთრება იყო. პროკურორის განცხადებით, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ არა მხოლოდ იცოდნენ თანხის დანაშაულებრივი წარმომავლობა, არამედ თავად იყვნენ მონაწილეები ამ დანაშაულში, რაც უტყუარად დადასტურებულია გამოკვლეული მტკიცებულებებით. პროკურორმა განაცხადა, რომ სახეზე იყო ფულის გათეთრების კლასიკური შემადგენლობა და მიმართა სასამართლოს, შეეცვალა პირველი ინსტანციის განაჩენი და სრულად გაეზიარებინა ბრალდების მხარის პოზიცია თაღლითობის მუხლის ნაწილში.

- *დაცვის მხარის პოზიცია*

2022 წ. 4 ივლისს თბილისის საპელაციო სასამართლოში გამართულ მორიგ სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ისაუბრა პროკურატურის საპელაციო სარჩელზე. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ფულის გათეთრება არის რთული და კომპლექსური დანაშაული და იმისათვის, რომ ეს დანაშაული დადგინდეს, აუცილებელია: 1) უკანონო შემოსავლის არსებობა, რა დროსაც ვერ ხდება ასეთი შემოსავლის დასაბუთება. 2) ამ თანხის განთავსება და მანიპულაციები, რა დროსაც ხდება ამ ფულადი სახსრების ბრუნვა. 3) ამ სახსრების უკან დაბრუნება შემოსავლის სახით, ანუ სარგებელის მიღება. ადვოკატის განცხადებით, არც ერთი აღნიშნული ეტაპი ბრალდებულების მიერ შესრულებულ ქმედებებს არ გაუვლია და რაც მთავარია, მათ არავითარი შემოსავალი არ მიუღიათ. ადვოკატმა დამატებით აღნიშნა, რომ საქმეში არსებულმა ტრანზაქციებმა მათი შესრულების მომენტში გაიარეს ეროვნული ბანკის ვერიფიკაცია. არსებული რეგულაციების თანახმად, 30 ათას ლარზე დიდი ტრანზაქცია გადის ეროვნული ბანკის არხებს, სწორედ ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული რეგულაციების შესაბამისად და ეროვნულ ბანკს საეჭვოდ არ ჩაუთვლია აღნიშნული გადარიცხვები.

დასკვნით სიტყვაში *დაცვის მხარემ ხაზი გაუსვა გარემოებას, რაც ადვოკატების შეფასებით, ერთ–ერთ მთავარ ნონსენსს წარმოადგენს საქმეზე. კერძოდ პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა სსკ-ის 180–ე მუხლით, რომელიც განაჩენის გამოტანის მომენტში ამნისტირებული მუხლი იყო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გასულია სამართლებრივი ჩარჩოებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულებს სასჯელი არ შეეფარდათ, მათ მიადგათ გამოუსწორებელი ზიანი, შეიბღალა მათი რეპუტაცია, დაუსაბუთებელი განაჩენიდან გამომდინარე, სხვა პირებს წარმოექმნათ დავის უფლება სამოქალაქო კუთხით და ბოლოს აბსურდული ბრალდების საფუძველზე ბრალდებულმა ბადრი ჯაფარიძემ დაკარგა პარლამენტის სადეპუტატო მანდატი. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოში მნიშვნელოვნად დაირღვა დაცვის უფლება, ვინაიდან დაცვის მხარემ მთელი თავისი სტრატეგია ააგო და მტკიცებულებები წარადგინა ფულის გათეთრების მუხლით წარდგენილი ბრალდების გასაქარწყლებლად და მხოლოდ ახლა საპელაციო ინსტანციაში ეძლევა საშუალება, იმსჯელოს თაღლითობის ბრალდების აბსურდულობაზე.*

2023წ. 20 იანვარს, ე.წ. „ფულის გათეთრების“ საქმის სააპელაციო განხილვა დასრულდა. მოსამართლეთა კოლეგიამ მერაბ ჯორბენაძის თავმჯდომარეობით

მოისმინა მხარეთა დასკვნითი სიტყვა და გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბიროდ გავიდა. 2023 წლის 26 იანვარს, სააპელაციო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, რითაც საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

6. ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს პარლამენტის მოქმედ წევრს და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს – ლევან ხაბეიშვილს საქართველოს პროკურატურა სსკ–ს 126–ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 24 იანვარს ქალაქ თბილისის საკრებულოს დერეფანში ლევან ხაბეიშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს, ირაკლი ზარქუას მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა. საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ლევან ხაბეიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით 3000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. თუმცა, ეს მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბრალდებულს 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა. ამ ეტაპისთვის საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმესთან დაკავშირებით ლევან ხაბეიშვილი და მისი ადვოკატი აცხადებენ, რომ დაპირისპირებამდე მოხდა ლევან ხაბეიშვილის პროვოცირება, რაც აღბეჭდილია ვიდეოკადრებში, რომელიც გადაიცემოდა სხვადასხვა ტელეკომპანიის საშუალებით. ამასთან, მათი განცხადებით, საქმე პოლიტიზებულია და ხაბეიშვილის საპარლამენტო საქმიანობიდან ჩამოშორებისკენაა მიმართული. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, რითაც გაგრძელდება ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია.

6.1 სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები

სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომა 2022 წელს მხოლოდ ერთხელ - 17 აპრილს ჩატარდა[42]. სასამართლო სხდომაზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ საქმის პროკურორი სათანადოდ არ იყო მომზადებული პროცესისთვის, რაზეც მოსამართლემ ირიბად მიანიშნა კიდეც. ბრალდების მხარემ პროცესზე გამოიძახა და დაკითხა 6 მოწმე, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არსებითად არ იყო კავშირში მიმდინარე საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან. არც ერთი მოწმისათვის კითხვა არ დაუსვამს

[42] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე. 17.04.2022

დაცვის მხარეს. ექვსივე მოწმე 2020 წელს მუშაობდა ძველი თბილისისა და მთაწმინდა–კრწანისის სამმართველოში ინსპექტორ–გამომძიებლად. მოწმეთა ჩვენებით ირკვევა, რომ პროკურორის მხრიდან მათ დაევალათ 2020 წლის 24 იანვარს ტელევიზიაში გავრცელებულ ძალადობის კადრებზე საქმის გამოძიება, სადაც აღბეჭდილია ბრალდებულის, ლევან ხაბეიშვილისა და ასევე საქმეში დაზარალებულად ცნობილი ირაკლი ზარქუას მიმართ განხორციელებული ძალადობა. პროკურორმა მოწმეებს დაუსვა შეკითხვა, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს საქმესთან დაკავშირებით. მოწმეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ რამდენიმე მოწმე დაკითხეს. ამავე დროს, კონკრეტული დეტალები, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, საქმეში ისედაც დევს, საგამოძიებო ოქმების სახით, რაც ორივე მხარემ უდავო გახადა წინასასამართლო სხდომის მიმდინარეობისას. მოწმეებმა სასამართლოს, ასევე, დამატებით მიაწოდეს ინფორმაცია იმ ვიდეოჩანაწერების შესახებ, რაც ფართო საზოგადოებისათვის აქამდეც ცნობილია სხვადასხვა მედიის საშუალებებით. პროკურორის მიერ დასმულ კითხვაზე მოწმის მისამართით (საქმის გამომძიებელი ეკა თევზაძე), თუ რა ინფორმაციას შეიცავდა ეს ვიდეოჩანაწერები, ბრალდებულის ადვოკატმა გამოთქვა პროტესტი, ვინაიდან ეს ჩანაწერები, როგორც მტკიცებულება, ცალკე სხდომაზე ისედაც უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ, ხოლო წინასწარი განწყობის შექმნა მის შემდგომ ობიექტურ განხილვას შეუშლიდა ხელს. მოსამართლემ გაიზიარა ეს პროტესტი და ბრალდების კითხვა მოხსნა. ამ ეტაპზე მომდევნო სხდომის თარიღი განსაზღვრული არ არის. ბოლო სასამართლო სხდომა საქმესთან დაკავშირებით 2022 წლის მაისში იყო ჩანიშნული, მაგრამ მხარეთა შუამდგომლობით გადაიდო.

7. საპარლამენტო ოპოზიციის დასუსტებისკენ მიმართული ნაბიჯები

2022 წლის 7 თებერვალს, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ბადრი ჯაფარიძისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან ერთად განიხილა და მხარი დაუჭირა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერ შალვა ნათელაშვილისთვის და პარტია „დროას“ ლიდერ ელენე ხოშტარიასთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხსაც[43]. ნათელაშვილის და ხოშტარიას შემთხვევაში უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლი[44] დასახელდა, რომელიც არასაპატიო მიზეზით სხდომების გაცდენის გამო პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას ითვალისწინებს. საკითხის კენჭისყრამდე გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების განცხადება, სადაც მმართველ პარტიას მოუწოდებდნენ, მხარი არ დაეჭირათ

[43] ინფორმაცია სრულად: https://www.radiotavisupleba.ge/a/31704326.html
[44] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი: https://parliament.ge/legislation/reglament

დეპუტატების საპარლამენტო მანდატების გაუქმებისთვის[45]. ბადრი ჯაფარიძის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ „ლელოს" პარტიული სიები ჩახსნილი ჰქონდა და ბადრი ჯაფარიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მას ვერავინ ჩაანაცვლებდა და ამრიგად, პარტიას ერთი დეპუტატით ნაკლები ეყოლებოდა პარლამენტში. რაც შეეხება შალვა ნათელაშვილისა და ელენე ხოშტარიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, პარლამენტს უარი ერთხელ უკვე ჰქონდა ნათქვამი მათთვის სადეპუტატო მანდატის გაუქმებაზე, როცა დეპუტატებმა პარლამენტს საკუთარი სურვილით მიმართეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა კენჭისყრისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, შალვა ნათელაშვილს საჯაროდ გაცხადებული ჰქონდა, რომ განიხილავდა საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვას. გარდა ამისა, ნათელაშვილის საჯარო განცხადებები პარლამენტში არშესვლის შესახებ შეიძლება ჩაითვალოს ბოიკოტის გამოცხადებად, როგორც ბოიკოტის ეკვივალენტური საშუალება. საქართველოს პარლამენტს კი, რეგლამენტის 91-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო პროცედურები არ გაუვლია.

მიუხედავად საჯარო მოწოდებებისა 2022 წლის 15 თებერვალს საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და სამივე ოპოზიციონერ დეპუტატს ვადამდე შეუწყვიტა საპარლამენტო უფლებამოსილება. პარლამენტის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება, შეიძლება შეფასდეს საპარლამენტო ოპოზიციის დასუსტებისკენ გადადგმულ ნაბიჯად, რასაც შედეგად მოჰყვება პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის არასრულფასოვნად განხორციელება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატების 3 მანდატის დაკარგვის შემდეგ, ოპოზიციის მიერ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა კითხვის ქვეშ დადგა, როდესაც მათ მიერ პარლამენტში ინიცირებული იყო „საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის" შექმნა[46].

კანონმდებლობის თანახმად[47], პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესასწავლად, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ კანონმდებლობის დარღვევევის ფაქტების გამოკვლევის მიზნით. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიცირების უფლება პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, საპარლამენტო ფრაქციას და პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ 1/5 აქვს. ამასთან საგამოძიებო კომისიის შემადგენლობაში ოპოზიცია არ უნდა იყოს ნახევარზე ნაკლები და ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა იყოს კომისიის თავმჯდომარე, ან სხდომის მდივანი. 2022 წლის თებერვალში „ერთიანი ნაციონალური

[45] ინფორმაცია სრულად: https://www.radiotavisupleba.ge/a/31696097.html
[46] ინფორმაცია სრულად. https://www.radiotavisupleba.ge/a/31685356.html
[47] კანონი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33010?publication=5

მოძრაობის“ მიერ ინიცირებულ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს 52 ოპოზიციონერი დეპუტატი უჭერდა მხარს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ბადრი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიას და შალვა ნათელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტა, კომისიის შექმნისათვის საჭირო 50 ხმა ვეღარ შეგროვდა და ინიციატივა ჩავარდა.

დასკვნა

საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი კონსტიტუციური ფუნქცია მთავრობის საქმიანობის კონტროლია. საპარლამენტო კონტროლის არაეფექტურობა კი კრიტიკის ერთ–ერთ მთავარ საგანს წარმოადგენს საერთაშორისო პარტნიორების ანგარიშებში. მას შემდეგ რაც 2017 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა[48], მნიშვნელოვნად გაიზარდა პარლამენტის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლი. საქართველოს პარლამენტი, მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ზედამხედველობით, უზრუნველყოფს დემოკრატიულ მმართველობას, დამოუკიდებელი ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას და ძალაუფლების ბალანსს. საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით, 2018 წელს ცვლილებები შევიდა ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტშიც[49]. გაიწერა კონსტიტუციით დადგენილი საპარლამენტო ზედამხედველობის პროცედურა და დაინერგა კონტროლის ახალი მექანიზმები, როგორიც არის მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ჯგუფი. გამარტივდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა, დამკვიდრდა ინტერპელაციის ინსტიტუტი და გამარტივდა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. საქართველოს პრემიერ მინისტრს ვალდებულებად განესაზღვრა წელიწადში ერთხელ ზეპირი მოხსენება წარუდგინოს პარლამენტს, მთავრობის საქმიანობის შესახებ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტი არის მთავარი ინსტიტუტი, რომელიც ახდენს საქართველოს მთავრობის ლეგიტიმაციას. მთავრობის გარდა, საპარლამენტო კონტროლი, გავრცელდა ყველა ანგარიშვალდებულ ორგანოზე, ყველა დონის ტერიტორიულ ერთეულზე და სახელმწიფო დაწესებულებაზე, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით, კანონით პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ[50] და სხვა საკანონმდებლო აქტებით. გარდა ამისა საპარლამენტო კონტროლი ვრცელდება ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციებზე, როგორიც არის: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეროვნული ბანკი, სახალხო დამცველი, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის

[48] 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818?publication=2
[49] პარლამენტის რეგლამენტი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=38
[50] საქართველოს კანონი პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32458?publication=32

ინსპექტორი, იურიდიული დახმარების სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და გენერალური პროკურორი. მიუხედავად სახელისუფლებო შტოების გამიჯვნის იმპერატიული ნორმებისა, საქართველოს პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკის განსაზღვრაში, ირჩევს რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, ასევე - საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს. გარდა ამისა, პარლამენტი ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრსა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2 წევრს.

როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას, ოპოზიციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ოპოზიციური პარტიების თავდაპირველმა ბოიკოტმა დაასუსტა საკანონმდებლო ორგანო და მნიშვნელოვნად გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერმა დეპუტატებმა გადაწყვიტეს საპარლამენტო მუშაობაში ჩართვა და საპარლამენტო კონტროლის კონკრეტული ინიციატივებითაც გამოვიდნენ, ოპოზიციის ლიდერებისათვის უფლებამოსილების უკანონოდ ვადაზე ადრე შეწყვეტამ საგანგაშო ტენდენციის ფორმა მიიღო, რომლის მიზანი შესაძლოა, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის არასრულფასოვნად განხორციელება იყოს. საპარლამენტო კონტროლის მექანზმების გამოყენების მთავარი ინიციატორები, უმრავლეს შემთხვევაში ოპოზიციონერი დეპუტატები არიან, ხოლო მათი რაოდენობის შემცირება საკანონმდებლო ორგანოში, მაკონტროლებელი ფუნქციების იმპლემენტაციას მინიმუმამდე დაიყვანს.

პარლამენტის წევრთა პასუხისმგებლობების და უფლებამოსილების გაზრდის პროპორციულად კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იწვევს მათ მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნა და მასთან დაკავშირებული პროცედურები, განსაკუთრებით - იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების დაწყება ხშირად ემთხვევა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს, როგორიცაა: არჩევნები, ოპოზიციის მასშტაბური საპროტესტო აქციები ან ოპოზიციის მიერ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ხელისუფლების მსგავსი ქმედებები შეიძლება აიხსნას ვიწრო პოლიტიკური მოტივებით. კერძოდ, როგორც პოლიტიკური მოვლენებიდან იკვეთება, ხელისუფლების ინტერესებში არ შედის საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად კონსტრუქციულ პოლიტიკურ პროცესში მუშაობა. ამიტომ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების საფუძველზე საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლოა, დაინტერესებული იყოს საპარლამენტო ოპოზიციის შესუსტებით და კონკრეტული დეპუტატებისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამე შეწყვეტით.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტის საფრთხის წინაშე მომავალშიც დადგნენ სწორედ ის დეპუტატები, რომლებიც პოლიტიკური აქტივობებით შეიძლება გამოირჩევიან საზოგადოებაში, რაც ცალსახად მიუთითებს საგანგაშო ტენდენციაზე.